თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 24 ნოემბრის სხდომის

ოქმი № 11

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 24 ნოემბერს

შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 30 წევრი

სხდომას ესწრებოდა 23 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. კურსდამთავრებულებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

2. კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

3. ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

4. ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის პროექტის განხილვა
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

5. 2023 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარისა და მინიმალური კომპეტენციების ზღვრების დამტკიცების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

6. ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მომხს. გ. ღაღანიძე)
   /საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

8. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ლევან საბაურმა მოითხოვა დღის წესრიგიდან ერთი საკითხის

,,კურსდამთავრებულებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ამოღება

გაიმართა კენჭისყრა,
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, წარმოდგენილი დღის წესრიგი ცვლილების გათვალისწინებით:

1. კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

2. ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

3. ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის პროექტის განხილვა
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

4. 2023 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარისა და მინიმალური კომპეტენციების ზღვრების დამტკიცების შესახებ
   /ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

5. ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მომხს. გ. ღაღანიძე)
   /საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს : კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

პროფესორმა ლევან საბაურმა, საბჭოს წევრებს გააცნო სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი (№30532/29, 18.11.2022), საიდანაც ირკვევა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილი №28309/10, 28.10.2022) მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **ანი ვაშაყმაძისთვის** დიპლომის დანართის მომზადება. საქმისწარმოებისას საჭირო გახდა მისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ანი ვაშაყმაძე 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზენ ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 2.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთბების სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ ანი ვაშაყმაძეს ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით, სპეციალობა - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით BH №000721 (სარეგისტრაციო №01/3478) რეგისტრირებულია ანი ვაშაყმაძის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია: **„ანი ვაშაყმაძე 2001 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8**

ივნისის გადაწყვეტილებით ანი ვაშაყმაძეს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია“.

ანი ვაშაყმაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმით (№5, 08.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 08.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან. დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში (ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) კურსდამთავრებულისთის მინიჭებული კვალიფიკაცის შესწორება.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა დამატებით მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მინჯაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ სპეციალობის კურსდამთავრებულთ ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანი ვაშაყმაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (BH №000721, სარეგისტრაციო №01/3478) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელის ოქმი №5, 08.06.20005) გადაწყვეტილება და ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.

პროფესორმა ლ. საბაურმა ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (დღის სწავლება, საბიუჯეტო განყოფილება) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005) გადაწყვეტილებით **ანი ვაშაყმაძისთვის** მინიჭებუბული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ ანი ვაშაყმაძეს მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**. აღნიშნული ცვლილება კი გავრცელდეს წარმოდგენილ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. **შესწორდეს** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (დღის სწავლება, საბიუჯეტო განყოფილება) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005) გადაწყვეტილება და დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ ანი ვაშაყმაძეს მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (დღის სწავლება, საბიუჯეტო განყოფილება) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№5, 08.06.2005) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

ხარისხის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში

განსახორციელებელი ცვლილებები (ცვლილებები გასაცნობად წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის პროექტის განხილვა

/ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

ხარისხის სამსახურის უფროსმა პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში (ანგარიში გასაცნობად წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების წარმოდგენილი ანგარიშები.

მოისმინეს: 2023 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარისა და მინიმალური კომპეტენციების ზღვრების დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის სამსახურის უფროსი პროფესორი ლ.საბაური/

ხარისხის სამსახურის უფროსმა პროფესორი ლ.საბაურმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის შესახებ ანკეტა–კითხვარი და მინიმალური კომპეტენციების ზღვრები. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი გასაცნობად წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე 2023 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის მიხედვით მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ეკონომიკა – 500 (ხუთასი) ადგილი;

- ბიზნესის ადმინისტრირება – 700 (შვიდასი) ადგილი;
- ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა) –150 (ასორმოცდაათი) ადგილი;
- ტურიზმი – 300 (სამასი) ადგილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე 2023 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის შესახებ ანკეტა–კითხვარი და მინიმალური კომპეტენციების ზღვრები.

ანკეტა-კითხვარის მიხედვით მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ეკონომიკა – 500 (ხუთასი) ადგილი;
- ბიზნესის ადმინისტრირება – 700 (შვიდასი) ადგილი;
- ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა) –150 (ასორმოცდაათი) ადგილი;
- ტურიზმი – 300 (სამასი) ადგილი.

მოისმინეს: ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

/საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გ.ღაღანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში განსახორციელებელი ცვლილებები:

ა. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატოს დავით კეშელავა** (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) წარმომადგენელი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი);

ბ. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატოს თეიმურაზ გოგსაძე**- თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) წარმომადგენელი, ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი);

გ. კომიტეტის შემადგენლობას მაგისტრანტ მარიამ ფერაძის **ნაცვლად დაემატოს ლელა ადუაშვილი** - ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი, რადგან მარიამ ფერაძემ 2022 წლის ივლისში დაამთავრა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა;

დ. კომიტეტის შემადგენლობიდან **ამოღებულ იქნსა ნანა მაისურაძე** (თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი), რადგან იგი აღარ არის თსუ თანამშრომელი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში განსახორციელებელი ცვლილებები:

ა. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატოს დავით კეშელავა** (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) წარმომადგენელი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი);

ბ. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატოს თეიმურაზ გოგსაძე** - თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) წარმომადგენელი, ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი);

გ. კომიტეტის შემადგენლობას მაგისტრანტ მარიამ ფერაძის **ნაცვლად დაემატოს ლელა ადუაშვილი** - ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი, რადგან მარიამ ფერაძემ 2022 წლის ივლისში დაამთავრა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა;

დ. კომიტეტის შემადგენლობიდან **ამოღებულ იქნსა ნანა მაისურაძე** (თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი), რადგან იგი აღარ არის თსუ თანამშრომელი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების საკითხი:

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

ასოცირებულმა პროფესორმა, მ.ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ილია ჯანიაშვილი - "განახლებადი ენერგიის პროექტების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები ინვესტორ კომპანიებში"
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია

2. ქეთი ნადირაშვილი - „რისკების მართვის გაუმჯობესების გზები ქართულ საჯარო სექტორში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 23

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. ილია ჯანიაშვილი - "განახლებადი ენერგიის პროექტების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები ინვესტორ კომპანიებში"
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია
2. ქეთი ნადირაშვილი - „რისკების მართვის გაუმჯობესების გზები ქართულ საჯარო სექტორში“
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე

JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS